საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 9 22 0000853581

28/07/2022

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივი ექსპერტების შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2021 წლის პირველი ნოემბრის №1167326 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ მე-5 და მე-6 მუხლის საფუძველზე, ცენტრის დირექტორის მოადგილის 2022 წლის 28 ივლისის №851395 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. 2022 წლის 29 ივლისიდან 2022 წლის 07 აგვისტოს ჩათვლით გამოცხადდეს კონკურსი ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივი ექსპერტების (შემდგომში - საგნობრივი ექსპერტი) შერჩევის მიზნით.
2. საგნობრივი ექსპერტების შერჩევა მოხდეს შემდეგი ჯგუფების მიხედვით:
ა) სახელმწიფო ენა;
ბ) მათემატიკა;
გ) უცხოური ენები;
დ) საზოგადოებრივი მეცნიერებები;
ე) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
ვ) ტექნოლოგიები;
ზ) ესთეტიკური აღზრდა;
თ) სპორტი;

ი) ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური.
3. საგნობრივი ექსპერტების საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
ა) საგნობრივი ჯგუფის სპეციალისტის კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი უმაღლესი განათლებით ამ ბრძანების მეორე პუნქტის „ა"-„ვ" და „ი" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საგნობრივი ექსპერტისთვის ან შესაბამისი პროფესიული განათლებით, „ზ" და „თ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საგნობრივი ექსპერტისთვის. ამასთან, „ი" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგნობრივი ექსპერტისთვის დამატებით მათემატიკისა და სახელმწიფო ენის კომპეტენცია;
ბ) ბოლო 10 წლის განმავლობაში შესაბამისი საგნობრივი მიმართულებით სწავლა-სწავლების სფეროში მუშაობის ან სკოლაში შესაბამისი საგნის სწავლების არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
გ) კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Word, Excel, PowerPoint) კარგად ფლობა;
დ) შემდეგი უნარების/პიროვნული თვისებების ქონა:
დ.ა) ქართულ ენაზე გამართულად წერა და მეტყველება;
დ.ბ) მოტივაცია;
დ.გ) გუნდური მუშაობა;
დ.დ) ეფექტური კომუნიკაცია;
დ.ე) სამართლიანობა;
დ.ვ) პასუხისმგებლიანობა;
დ.ზ) დეტალებზე ორიენტირებულობა;
დ.თ) ორგანიზებულობა;
დ.ი) ვადებზე ორიენტირებულობა;
ე) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:
ე.ა) „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
ე.ბ) „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
ე.გ) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანება;
ე.დ) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შესაბამისი საგნობრივი სასწავლო გეგმა/საგნობრივი სტანდარტი.
4. საგნობრივი ექსპერტის სტატუსის მქონე ექსპერტთა ჯგუფის წევრის საქმიანობის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს ექსპერტთა ჯგუფის სხვა წევრისთვის კონსულტაციების გაწევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/პროგრამის საგანთან/საგნობრივ ჯგუფთან დაკავშირებული საკითხების ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრულ ინდიკატორებთან შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებით. ამ მიზნით ექსპერტთა ჯგუფის აღნიშნული წევრის ფუნქციებს წარმოადგენს:
ა) ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში საგანთან/საგნობრივ ჯგუფთან დაკავშირებული კონსულტაციების გაწევა ექსპერტთა ჯგუფისთვის;
ბ) შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად შენიშვნების, მოსაზრებების და შეკითხვების მომზადება და ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან გაზიარება თავმჯდომარესთან შეთანხმებული ფორმით;
გ) მოსწავლის მიერ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი რესურსების (მატერიალურ-ტექნიკური, საგანმანათლებლო რესურსები) გამოყენების შეფასება სტანდარტით განსაზღვრულ ინდიკატორებთან მიმართებით;
დ) ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დღის წესრიგის შედგენაში მონაწილეობა;
ე) ვიზიტის პერიოდში დაწესებულების თვითშეფასებაში/განაცხადში/თვითშეფასების ანგარიშში ასახული საგანთან/საგნობრივ ჯგუფთან დაკავშირებული საკითხების რეალობასთან და ავტორიზაციის სტანდარტის ინდიკატორებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შემდეგი აქტივობების განხორციელება:

ე.ა) საგნობრივ საკითხებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან (მოსწავლე, კურსდამთავრებული, მშობელი/მეურვე) ინტერვიუს ჩატარება;
ე.ბ) საგანთან/საგნობრივ ჯგუფთან მატერიალურ-ტექნიკური რესურსის დათვალიერება;
ე.გ) საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა დადგენილი წესის შესაბამისად;
ე.დ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ძირითადი მიგნებების შესახებ ინფორმაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებისთვის გაზიარება;
ვ) კომპეტენციის ფარგლებში, დასკვნის პროექტის მომზადებაში მონაწილეობის მიღება;
ზ) კომპეტენციის ფარგლებში, დასკვნის პროექტზე დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაცნობა და ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარისთვის საკუთარი მოსაზრების წარდგენა პროექტში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე;
თ) დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება;
ი) საკუთარი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში შესაბამისი საბჭოს სხდომაზე განხილვაში მონაწილეობა.
6. საგნობრივ ექსპერტთა შერჩევის მიზნით გამოცხადებული კონკურსის ეტაპებად განისაზღვროს:
6.1. განაცხადის წარდგენა - 29 ივლისიდან 07 აგვისტოს ჩათვლით;
6.2. განაცხადების გადარჩევა - 31 აგვისტოს ჩათვლით;
6.3. კანდიდატთა შეფასება (ტესტირება) – 10 სექტემბრის ჩათვლით;
6.4. სპეციალური კურსის გავლა - 25 სექტემბრის ჩათვლით;
6.5. კანდიდატთა შეფასება (გასაუბრება) - 30 სექტემბრის ჩათვლით;
6.6. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება და შერჩეული კანდიდატების შესახებ რეკომენდაციის წარდგენა ცენტრის დირექტორისადმი - 2022 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით.
7. კონკურსში მონაწილე კანდიდატი ვალდებულია:
ა) კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი - ავტობიოგრაფია (CV), წარმოადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით;
ბ) შესაბამის ველში ატვირთოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლები.
გ) წამოადგინოს სამოტივაციო წერილი, რომელშიც უნდა ჩანდეს, თუ რომელი საგნობრივი ჯგუფის ექსპერტის კონკურსში იღებს მონაწილეობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, განცხადი არ განიხილება.
8. ბრძანების მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნტით განსაზღვრული სამუშაო გამოცდილება და ამავე პუნქტის „დ" ქვეპუნტით განსაზღვრული კომპიუტერული პროგრამების ფლობა უნდა დასტურდებოდეს წარმოდგენილი ავტობიოგრაფიით (CV). ბრძანების მე-3 პუნქტის ,,ე.ა" და „ე.დ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული სამართლებრივი აქტების ცოდნა შემოწმდება კანდიდატთა შეფასების პირველ ეტაპზე (ტესტირების ეტაპი), ხოლო „გ" და "დ" პუნქტებით განსაზღვრული უნარების/პიროვნული თვისებები შემოწმდება კანდიდატთა შეფასების მეორე ეტაპზე (გასაუბრების ეტაპი).
9. კონკურსის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების მიზნით კანდიდატს შეუძლია მიმართოს სააპელაციო კომისიას წერილობითი ფორმით, შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს ათი კალენდარული დღისა.
10. საკონკურსო კომისიის მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია: საქართველო, თბილისი 0193, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2; ტელეფონი - (+995 32) 2 200 220.
11. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს კონკურსის გამოცხადება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე - www.hr.gov.ge და ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.

12. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ